ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N22

ქ.თბილისი 21 თებერვალი, 2023 წელი
14[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
კონსტანტინე ზარნაძე
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ციწცაძე
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე
მამუკა გუგეშაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
მიხეილ კაკაურიძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კობერიძე
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
რევაზ სოხაძე
დავით ფარცვანია
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
სოფიო ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი დავით მაქაცარია.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა სამგორის რაიონში წყალმომარაგების და წყალარინების კუთხით არსებულ პრობლემაზე და აღნიშნა, რომ რამდენიმე ცენტრალურ ქუჩაზე უწყვეტ ნაკადად მოედინება კანალიზაცია, რისი დამადასტურებელი ფოტომასალაც წარადგინა სხდომაზე. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, კომპანია „GWP"-ს პასუხი არის ის, რომ გაწმენდით სამუშაოებს ასრულებს ერთი მანქანა, რომელიც გაიყინა სიცივის გამო და ამიტომ გაწმენდა ვერ მოხერხდა რამდენიმე დღის განმავლობაში. აქვე აღნიშნა, რომ ვარკეთილის ზემო პლატოზე სამი დღეა მოსახლეობას არ მიეწოდება წყალი, რაზეც პასუხი საერთოდ არ არის და კომპანია თავს ვალდებულადაც არ თვლის, რომ მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია. განაცხადა, რომ მართლა ვერ ხვდება, რა უნდა გააკეთოს, როგორც ამ რაიონის წარმომადგენელმა საკრებულოში და რა გზას მიმართოს იმისთვის, რომ ოცდამეერთე საუკუნეში წყალი ჰქონდეთ ადამიანებს, რადგან კომპანია „GWP"-სთან შეხვედრისას, დარჩა შთაბეჭდილება, რომ უახლოესი წლების განმავლობაში ამ საკითხის მოგვარების პერსპექტივა არ არის. რევაზ სოხაძემ სხდომაზე წარადგინა ერთ-ერთი სააგენტოს მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 2021 წელს, კომპანია „GWP"-ს შემოსავალი გაიზარდა 54%-ით და შეადგინა 178000000 ლარი, ხოლო კომპანიის წმინდა მოგება იყო 60000000 ლარი და დაინტერესდა, როგორ შეიძლება ქალაქში, წყალმომარაგების და წყალარინებis კუთხით, ხდებოდეს ის, რაც ხდება და კომპანიის, რომლიც პასუხისმგებელია ამ ყველაფერზე, წმინდა მოგება იყოს 60000000 ლარი. მისი თქმით, მოგება რომ არ ყოფილიყო 60000000 ლარი და ყოფილიყო 59500000 ლარი, კომპანიას, როგორც მინიმუმ, ეყოლებოდა კანალიზაციის მილების გამწმენდი ორი მანქანა, ხოლო მოგება რომ ყოფილიყო მაგალითად 55000000 ლარი, ხუთ ძალიან დიდ ქუჩაზე აღარ იქნებოდა წყალმომარაგების და წყალარინების პრობლემა. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ კომპანია „GWP" შეიძინა ახალმა, ესპანურმა კომპანიამ და გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება საკრებულომ შეხვედრა გამართოს ახალ ინვესტორებთან და ისაუბრონ მათ ხედვებსა და გეგმებზე.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ ეთანხმება რევაზ სოხაძეს და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა არ არის მხოლოდ სამგორის რაიონში, ანალოგიური პრობლემა არის ისნის რაიონშიც, კონკრეტულად, ვაზისუბანში. მისი თქმით, ეს პრობლემა ძალიან დიდი ხანია აწუხებს მოსახლეობას და კარგია, რომ ეხლა მაინც დაიწყო საკრებულომ ამაზე საუბარი და იმედი გამოთქვა, რომ მიღებული იქნება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არც ქალაქს დააზარალებს და კომპანიას დააკისრებს ვალდებულებას, გამართული ჰქონდეს ის ინფრასტრუქტურა, რაშიც ფულს შოულობს. გიორგი ონიანმა ისაუბრა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების „ანტიდასავლურ განცხადებებზე", რომლებიც, მისი თქმით, „ყოველდღიურად ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს" და განაცხადა, რომ კობახიძის განცხადება: „რომ არა ვიზალიბერალიზაცია, მიგრაცია ესეთი სახით არ იქნებოდა", სცდებოდა მხოლოდ ქვეყნებს შორის ურთიერთობას და დასავლეთის მიმართ სიმპატია-ანტიპატიას. აღნიშნა, რომ ვიზალიბერალიზაცია არის ის, რაზეც „ქართულმა ოცნებამ", წლების წინ, „ბევრი ტაში" მოისმინა ქართველი ხალხისგან, რასაც იფერებდა და თუ ეს არ მოსწონდა, ალბათ მაშინვე უნდა ეთქვა. მისი თქმით, „ქართული ოცნების" დღევანდელი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, პრობლემის სათავე ის კი არ არის, რომ ადამიანები უკიდურესი გაჭირვების გამო მიდიან ემიგრაციაში, რათა ოჯახები არჩინონ, არამედ ის, რომ მათ მივეცით ქვეყნიდან გასვლის საშუალება, რაც „უკიდურესად უპასუხისმგებლო განცხადებაა და აცდენილია რეალობას". გიორგი ონიანმა ასევე, ისაუბრა მიხეილ სააკაშვილზე, გაიხსენა საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებები, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" თუნდაც ერთი დიაგნოზი მაინც წარმოედგინა ისეთი, რომელიც კანონმდებლობით იქნებოდა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების საფუძველი და სხდომაზე წარადგინა სამედიცინო ცენტრი „ვივამედის" მიერ დაწერილი გადაწყვეტილება, სადაც წერია, რომ მას აქვს კახექსია და განაცხადა, რომ ეს დიაგნოზი არის პატიმრის გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი,

თუმცა, ნამდვილად არ აქვს იმედი, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრები „შეშფოთდებიან“ და გუნდში მაინც დააყენებენ საკითხს, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ მიღებული იქნას კანონიერი გადაწყვეტილება. საუბრის ბოლოს, გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ რაც შეეხება ზოგადად პატიმრებს და თუნდაც იმ უკანონობას, რაც წარსულში ხდებოდა, ჩადენილ დანაშაულზე ყველამ უნდა აგოს პასუხი, მაგრამ საკრებულოს უმრავლესობის აგრესია მესამე პრეზინდეტის მიმართ „ბიძინა ივანიშვილის საამებლად“, სირცხვილია.

ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის მიერ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, აღნიშნა, რომ ჩვენ ვნახეთ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და კარგი იქნება თუ მისი ადვოკატები მიმართავენ შემდგომი ინსტანციის სასამართლოს და კიდევ გვექნება შესაძლებლობა ვნახოთ ის „შოუ, რომლის დადგმაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდათ“ და განაცხადა, რომ ამ პარტიამ აირჩია კიდევ უფრო მეტი რადიკალიზაციის და პოლარიზების გზა, რომელიც მათ წარმატებას ვერ მოუტანს. ვლადიმერ ბოჟაძე ასევე, გამოეხმაურა გიორგი ონიანის მიერ ირაკლი კობახიძის განცხადებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს და განაცხადა: „დიახ, ჩვენ უზრუნველვყავით, რომ ამ ქვეყანაში ყოფილიყო უვიზო მიმოსვლა და ოთხი თავისუფლებიდან ერთ-ერთი არის ადამიანების თავისუფალი გადაადგილების საშუალება იმისათვის, რომ სხვა თავისუფლებებთან ერთად, საქართველოს მოქალაქეებმაც ისარგებლონ“. მისი თქმით, როდესაც საუბარია ემიგრაციაზე, უნდა ითქვას, რომ 2018 წლიდან დღემდე, სხვა ქვეყნებში სასწავლებლად და ლეგალურად სამუშაოდ წასული მხოლოდ 29000 ადამიანი არ დაბრუნდა ქვეყანაში, რომლებიც აუცილებლად დაბრუნდებიან, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ, პასუხი უნდა აგოს იმაზე, რომ 2004-12 წლებში, ამ ქვეყნიდან „გააქცია“ 200000 ადამიანი, რომლებიც აღარ დაბრუნებულან. ვლადიმერ ბოჟაძემ ასევე, ისაუბრა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც 2004-12 წლებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სისტემურად ეწეოდა დანაშაულებს და მიმართა მის წარმომადგენლებს: „ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე რომ ნერვიულობთ და უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილზე, დღეს აპირებთ თბილისელებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას - გაზრდილი ბიუჯეტის მხარდაჭერას? ახალი პროგრამების, ახალი პროექტების მხარდაჭერას? თუ გგონიათ, სააკაშვილის ციხიდან გამოსახსნელად აგირჩიათ საკრებულოში დედაქალაქის მაცხოვრებლებმა?“

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ არსებულ სიტუაციაში ფუნდამენტურია მაქსიმალურად ვაფელირდეთ უკრაინასთან და ვასხივებდეთ, რომ ჩვენი გამარჯვება გვესახება უკრაინის გამარჯვებაში და რომ ამ ომში ცალსახად ვართ უკრაინის მხარეს. ამ ფონზე, პრემიერმინისტრი მინიმუმ უნდა ჩავიდეს უკრაინაში, თუმცა საქართველოს დელეგაცია „უკადრისობს“ 24 თებერვალს კიევში ჩასვლას მაშინ, როდესაც მთელი წლის განმავლობაში დადიოდნენ არაბეთის საემიროში, არგენტინაში, სამხრეთ აფრიკაში და რუანდაში. მისი თქმით, ამ ყველაფრის ფონზე, მარტივი მისახვედრია, რომ ხელისუფლებას უკრაინაში ჩასვლა ეშინია, რადგან არ უნდა, რომ „პუტინმა შეგვაჩვენოს“, რაც ყველას გვესმის რომ პრობლემაა. უკრაინისადმი მხარდაჭერა მარტივი რაღაცებით უნდა გამოვხატოთ და უკრაინის საელჩო რომ მოწერს საკრებულოს, რომ იქნებ ვაკის პარკთან არსებულ უსახელო მოედანს უკრაინელი გმირების სახელი დავარქვათ, პასუხი მაინც უნდა დავუბრუნოთ „კი ან არა“, მით უფრო, როდესაც დედაქალაქში გვაქვს მტრის დედაქალაქის - მოსკოვის გამზირი და ამას ისე ვიტანთ, რომ არაფერს ვაკეთებთ და სწორედ ესეთ მარტივ სიმბოლიკაში გამოიხატება, რომ ჩვენ არ გვინდა რუსეთი ვაწყენინოთ. ცოტნე კობერიძე გამოეხმაურა კახა კალაძის სიტყვებს, რომ „თუ არ იქნება კანდიდატობა, თავისთვის დაიტოვოს“ და განაცხადა, რომ ეს მარტივი სათქმელია მაშინ, როდესაც თავად ევროპაში გაქვს ბიზნესი და კარგად ხარ, მაგრამ ქართველი მოქალაქეებისთვის ესე მარტივი არ არის და თუ ვინმეს ისე მარტივად ესახება, რომ შეგვიძლია ევროკავშირის კანტიდატის სტატუსზე ვთქვათ, რომ „თავიანთთვის დაიტოვონ“, მაშინ არჩევნებზე ამ დაპირებით რატომ გამოვიდა „ქართული ოცნება“? ლეგიტიმაცია რატომ მოითხოვა იმით, რომ კადიდატობას შეიტანდა 2024 წელს და ეს იქნებოდა „გვირგვინი „ქართული ოცნების“ მმართველობისა“. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „პროდასავლური მესიჯი ხომ იმიტომ გაეცით, რომ ხალხის ხმა

მიგეღოთ ამ დაპირებით? ეხლა რატომ ვუკადრისობთ და რატომ ვამბობთ, რომ თურმე არაფერს არ ნიშნავს, რომ თურმე ფარატინა ფურცელია, რითიც თქვენ ხალხს ხმები მოსთხოვეთ? ჩვენ ვართ პროდასავლური ქვეყანა, კონსტიტუციაში გვიწერია და საკუთარ კონსტიტუციას მაინც ვცეთ პატივი, თუ ისე არ გვაინტერესებს დასავლური ღირებულებები".

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის მიერ ვაკის პარკთან არსებული მოედნისთვის უკრაინელი გმირების სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და განმარტა, რომ ის მოედანი, რომლისთვისაც უკრაინის საელჩომ ითხოვა სახელის მინიჭება, არის ილია ჭავჭავაძის სახელობის მოედანი.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ერთი კვირის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს საკრებულომ მიიღო ისეთი წესი, რომელიც ხელყოფდა საკუთრების უფლებას, რაშიც იგულისხმება ავარიული შენობების ჩანაცვლების წესში ცვლილებები და ძალიან სამწუხაროა, რომ რამდენიმე მედიასაშუალებამ ამას ხელი შეუწყო ისე, რომ საკრებულოსთან კონსულტაციები არ გაუვლია და შეცდომაში შეიყვანეს ადამიანები, რომლებიც ისედაც ფრთხილად უდგებიან ამ საკითხს, ვინაიდან ეს არის მუნიციპალიტეტის პროგრამა, არ მონაწილეობს ინვესტორი და ბიუჯეტი არის იმის გარანტია, რომ შესრულდება ვალდებულებები. მისი თქმით, აღნიშნული არ არის პოლიტიკური საკითხი, ის ეხება ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ მწვავედ ავარიულ შენობებში და არ უნდა დავზაფროთ ისინი, რადგან მუნიციპალიტეტის ეს პროგრამა არ განხორციელდება მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობის გარეშე და ძალით არავინ არავის გამოიყვანს საცხოვრებელი სახლიდან და არ გადაიყვანს ახალაშენებულ კორპუსში, რადგან ამ ქვეყანაში საკუთრების უფლება არის დაცული. მისი თქმით, თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამები განხორციელდეს წარმატებით, ხოლო თუ ადამიანებს ვეტყვით, რომ ამ პროცესში მათ აზრს არ გაითვალისწინებენ, ეს პროგრამები ვერ განხორციელდება და ამიტომ, ასეთ თემებთან დაკავშირებით, ყველა უნდა ვიყოთ ფრთხილად. ლევან ჟორჟოლიანი გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ განცხადებებს და მიმართა მას, რომ უკრაინის საელჩომ რომელი სკვერის სახელდებაც მოითხოვა, ის არ არის უსახელო სკვერი და არის ილია ჭავჭავაძის სახელობის, რაც იციან მისმა კოლეგებმაც ოპოზიციიდან და თავისი განცხადებით შეცდომაში ნუ შეყავს საზოგადოება. უკრაინის მხარადაჭერასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საქართველოს, „ამ პატარა ქვეყნის", რომელსაც ოფიციალურად ჰყავს თავისი 300000 დევნილი, როგორც ხელისუფლებამ, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებამ, უკრაინის დასახმარებლად გააკეთა ზევრ ზომითაც, ეკონომიკითაც და სიძლიერითად დიდ ქვეყანაზე მეტი - არ დარჩენილა ფორუმი და საერთაშორისო ტრიბუნა, სადაც, მათ შორის, მუნიციპალიტეტების დონეზეც კი, რომ არ დაგვეჭიროს მხარი უკრაინის მხარდამჭერი ყველა რეზოლუციისა და გადაწყვეტილებისთვის. მისი თქმით, „სამწუხაროდ, იმ ქოლგის ქვეშ, რომელსაც ჰქვია ნატო, ჯერჯერობით საქართველო არ არის და ის ქვეყნები, როგორებიცაა: ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი და ა.შ., რომლებიც არიან ამ ქოლგის ქვეშ, რასაკვირველია, გაცილებით გაბედული არიან უკრაინასთან მიმართებაში, რუსეთთან მიმართებაში და, მათ შორის, ეხმარებიან იარაღითაც. ჩვენ ვართ ოკუპირებული ქვეყანა, რომელსაც ეს ქოლგა არ იცავს, რომ დაგვიცავს ეს ქოლგა, დამერწმუნეთ, არავინ არაფერზე უკან არ დაიხევს და უფრო მეტს გავაკეთებთ". ლევან ჟორჟოლიანის თქმით, როდესაც ვახსენებთ საქართველოს კონსტიტუციას, უნდა აღინიშნოს, რომ ცოტნე კობერიძის მიერ ნახსენები ჩანაწერი, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, ირაკლი კობახიძის დაწერილია და არც ამ ჩანაწერისთვის და არც ერთი ცვლილებისთვის ოპოზიციის არც ერთ წევრს მხარი არ დაუჭერია და აქედან გამომდინარე, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები გვახსენებენ იმას, რაც ამ ხელისუფლების გაკეთებულია, თხოვნა იქნება, მოიკითხონ პირადი ავტორი და ის, თუ ვინ დაუჭირა მხარი აღნიშნულს და ვინ არა.

ნიკოლოზ კახეთელიძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის მიერ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და განაცხადა, რომ „კახექსიას შველის ერთი რამე -

უნდა შეჭამო საჭმელი და მიიღო საკვები, ამას სხვა არაფერი არ შველის“ და ამის პოლიტიკურ საკითხად გადაქცევა „სასაცილოა“ და მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამო, დღესაც კი, ჩვენ თანამოქალაქეებს ჩამოყალიბებული აქვთ სხვადასხვა დაავადებები, რაზეც თვალის დახუჭვა არ შეიძლება. ნიკოლოზ კახეთელიძე ასევე, გამოეხმაურა რევაზ სოხაძის და ლევან ჟორჟოლიანის მიერ კომპანია „GWP“-სთან და ავარიულ სახლებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ საკრებულომ უნდა ისაუბროს სწორედ ასეთ საკითხებზე. მისი თქმით, როდესაც საუბარია ქალაქის ავარიული ფონდის რეაბილიტაციაზე, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა არის ერთადერთი სწორი გზა და სხვა საშუალება, არათუ ჩვენ, არამედ ძალიან განვითარებულ ქვეყნებსაც კი არ აქვთ. ხოლო რაც შეეხება კომპანია GWP“-ს, მისი თქმით, ეს კომპანია დიდი ხანია „თავგასულია“, რადგან ქალაქის მთლიანი მეურნეობა ამ მიმართულებით გამოსულია ყოველგვარი ნორმიდან და იქიდან გამომდინარე, რომ საკრებულოს არ აქვს მონიტორინგის არანაირი ბერკეტი, კარგი იქნება, რომ კომპანიის ახალ წარმომადგენლებთან შეხვედრა მოეწყოს მარეგულირებელთან ერთად. ნიკოლოზ კახეთელიძე ასევე, გამოეხმაურა კახა კალაძის განცხადებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს და განაცხადა, რომ, მის სიტყვებს ოპოზიცია „აფრიალებს“ კონტექსტიდან ამოგლეჯილად და მან თქვა ის, რომ როდესაც ევროპარლამენტარები გვესაუბრებიან კონკრეტული დამნაშავის ციხიდან გაშვებაზე და ამავდროულად ვლაპარაკობთ ევროპულ ღირებულებებზე, „თუ არ უნდათ, ნუ მოგვცემენ, არ გვჭირდება მათი მხრიდან ასეთი გადაწყვეტილება“ და ყველა ვხედავთ, რომ დღეს, რეალურად, დღის წესრიგში დგას სწორედ ეს საკითხი, რაც მისი აზრით, სამარცხვინოა.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპზე უნდა გაძვირდეს გადასახადი და განმარტა, რომ არავითარი გაძვირება ან ტარიფის გადახედვა არ იგეგმება და არც განიხილება. ასევე, ისაუბრა კომპანია „GWP“-ზე და განაცხადა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას უწევს წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების, „თუ არა დანაშაულის“, გამოსწორება და სამწუხაროდ, ეხლა დადგა ის დრო, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა მეტი სიმკვეთრე.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ არ შეუძლია უპასუხოდ დატოვოს დედაქალაქის მერის „სამარცხვინო და თანამდებობისთვის შეუფერებელი განცხადებები“ და მთლიანად ის კამპანია, რომელიც მიმდინარეობს ევროკავშირის და დასავლეთის დისკრედიტაციის მიზნით. მისი თქმით, უდიდესი ტყუილია, რომ თითქოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არის მიბმული მიხეილ სააკაშვილის საკითხზე და ამას დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ გააძლიეროს ანტიდასავლური და ანტიევროპული განწყობები. როდესაც დედაქალაქის მერი, რომლის კარიერის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი დაკავშირებულია არა მხოლოდ უკრაინასთან, არამედ ევროპასთან, გამოდის და „ასეთ სამარცხვინო განცხადებას“ აკეთებს, არის იმის ძალიან დიდი სიმპტომი, თუ როგორ დაუახლოვდა კახა კალაძის რიტორიკა მთელი პარტიის ხაზს. ერთი მხრივ, მისივე მმართველობის პერიოდში, ევროპული ინსტიტუტებისგან, სესხების და გრანტების სახით, ქალაქისთვის აღებული აქვს 330000000 დოლარამდე თანხა და მეორე მხრივ, გამოდის და საზოგადოებას ეუბნება, რომ „ასეთი კანდიდატის სტატუსი არ უნდა“. მისი თქმით, მოქალაქეებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ევროკავშირის კანდიდატობა და სტატუსი არის სიკეთე და კეთილდღეობა თითოეული ჩვენი თანაქალაქელისთვის, რაზეც კახა კალაძეს უნდა, რომ უარი ვთქვათ და განაცხადა: „არა მხოლოდ პოლიტიკური სიბეცის გამოხატულებაა, როდესაც ერთი ხელით ფულს ართმევ ევროკავშირს და მეორე ხელით ლანძღავ, არამედ არის უდიდესი უტიფრობა და ორმაგი სტანდარტი. როდესაც ყველაფერში ევროკავშირს ეზომება, როდესაც მისი ცხოვრების ყველა ეტაპი დაკავშირებულია ევროკავშირთან და გამოდის და ევროპულ ფასეულობებს იწუნებს, ეს არის უბრალოდ სამარცხვინო. როგორც ჩანს, მისთვის ევროპული ფასეულობები შემოიფარგლება მარტო ევროპული ტანსაცმლით იმიტომ, რომ ევროპული ფასეულობა არის სწორედ დემოკრატია და ევროკავშირი საქართველოსგან მხოლოდ და მხოლოდ ითხოვს დემოკრატიას, განვითარებას და არაფერს სხვას იმისათვის, რომ ამ ხალხმა, ამ ქალაქის მაცხოვრებლებმა და ამ ქვეყნის მაცხოვრებლებმა იცხოვრონ

უკეთესად. ეს არის ის ერთადერთი, რასაც ევროკავშირი ითხოვს საქართველოსგან და ეს არის ის, რასაც ევროკავშირი საქმით უერთგულებს."

ოთარ გრიგოლიას თქმით, საბა ბუაძის განცხადება არის „არასწორი და პოპულისტური", რადგან არც კახა კალაძეს და არც „ქართული ოცნების" რომელიმე წევრს უთქვამს ის, რომ ევროკავშირში გაწევრიანება და ევროპისკენ გეზი დაკავშირებულია მიხეილ სააკაშვილის პატიმრობასთან, ეს თქვა არაერთმა ევროპარლამენტარმა, რაზეც, აბსოლუტურად სწორი და ადეკვატური პასუხი იყო, რომ „თუ ვინმე თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილის ციხიდან დახსნა არის უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე ქართველი ხალხის სურვილი გახდეს ევროპის ნაწილი, მაშინ, ეს ევროპა არ არის ის ევროპა, რომელსაც ვიცნობთ". მისი თქმით, ეს არის ის სიმართლე, რომელიც ითქვა და ფაქტების დამახინჯებით კონტექსტის აბსოლუტურად შეცვლას თავი უნდა დავანებოთ, რადგან გამოდის სიცრუე. ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელმაც, მისი თქმით, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის დროს, 2004-12 წლებში, საქართველოს ციხეებში და არა მხოლოდ ციხეებში, ადგილი ჰქონდა სისტემურ წამებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა, გენოციდის შემდეგ, ალბათ ყველაზე მძიმე დანაშაულს, რომელიც შეიძლება ჩაიდინო კაცობრიობის წინაშე. განაცხადა, რომ მასობრივი სისტემური წამება არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაული და გაუგებარია, როგორ შეიძლება ამ სისტემის მთავარი შემოქმედი, მიხეილ სააკაშვილი, იყოს უდანაშაული და „ზოგიერთი არასერიოზული და ევროპის შემარცხვენელი ევროპარლამენტარი" ცდილობდეს მისი ციხიდან გამოშვება დააკავშიროს საქართველოს ევროინტეგრაციასთან და განაცხადა, რომ „ჩვენი სვლა ევროპისკენ არის არა ვინმე კონკრეტული ადამიანის გადაწყვეტილება, ეს არის ქართული საზოგადოების და, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლების უწყვეტი და ურყევი სურვილი". ოთარ გრიგოლიამ ასევე, ისაუბრა კომპანია „GWP"-ზე და აღნიშნა, რომ უკვე ძალიან ბევრი პრობლემა და კითხვა დაგროვდა ამ კომპანიასთან და უნდა მოვიფიქროთ რაღაც ფორმატი უფრო აქტიური თანამშრომლობისთვის, რადგან ის, რასაც ეს კომპანია აკეთებს მოსახლეობასთან მიმართებაში არის არასწორი მიდგომა და მოსახლეობის უპატივცემულობა. განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრები მზად არიან კონსტრუქციული ურთიერთობისთვის, არავინ არის განწყობილი რადიკალურად, ფიქრობენ, რომ ამ პრობლემის გამოსწორება შესაძლებელია თანამშრომლობით და კომპანიის დამფუძნებლებს მოუწოდა აქტიური თანამშრომლობისკენ.

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ ალბათ სიმბოლურია, რომ დღეს საკრებულოს წევრები საუბრობენ კონსტიტუციაზე, რადგან 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, სადაც ქვეყნის ურყევი ნება - დასავლური კურსი და ადამიანის ფუნდამენტური უფლებები პირველად ჩაიწერა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში და დასანანია, რომ ადამიანის უფლებებზე საუბარს ვისმენთ არაჰუმანურ ჭრილში. აღნიშნა, რომ დარბაზში მსხდომი ძალიან ბევრი ადამიანის ჰუმანიზმში ეჭვი არ ეპარება, თუმცა მინიმუმ არაჰუმანურია, როდესაც კონკრეტულ დიაგნოზზე არასპეციალისტი ადამიანი გვიცხადებს, რომ „უნდა ჭამოს" და მიმართა ნიკოლოზ კახეთელიძეს: „ბატონო ნიკო, ანორექსიისა და კახექსიის შესახებ თქვენ კომპეტენტური აზრი გაგაჩნიათ, რომ დიაგნოზზე და მის დაძლევაზე ისაუბროთ?" ნინო კვიტაიშვილის თქმით, სწორედ არაჰუმანურობას უკავშირდება ქვეყნის ევროპული მომავალი იმიტომ, რომ თუ რამე დასავლეთისთვის არის ღირებული, ეს არის ადამიანის უფლებები, რაზეც ყველა თანხმდება. განაცხადა, რომ ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ დარბაზში მყოფი ბევრი ადამიანი სწორედ დასავლური ორიენტაციისაა, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებმაც დასავლეთში მიიღეს განათლება და ფიქრობს, რომ ისინი ძალიან კარგად აცნობიერებენ იმ საფრთხეებს, რომლებიც რეალურად დგას. თუმცა, საინტერესო არის ის, რომ ერთი მხრივ, ვიცით ეს საფრთხეები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ჩრდილოეთს და რუსეთს, მაგრამ ამავდროულად, ამ ადამიანებს შეუძლიათ გაჩუმდნენ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: თორმეტი პუნქტი; პრეზიდენტის სიცოცხლის გადარჩენა; მედია მენეჯერის პატიმრობა; „ხალხის ძალის" მიერ ინიცირებული რაღაც ახალი კანონი აგენტების შესახებ, სადაც შეიძლება ხვალ და ზეგ აღმოჩნდეს ნებისმიერი ადამიანი ხალხის მტრებისა და აგენტების სიაში. ძალიან საინტერესოა ისიც, რომ „ქართული ოცნების"

ბევრი წარმომადგენელი, იმის ნაცვლად ისაუბროს სახელმწიფოებრივი და ეროვნული „მესიჯბოქსით“, საუბრობს „ზახაროვას და სიმონიანის მესიჯბოქსით“, რადგან, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა, თუ რამე გვაერთიანებდა ამ ქვეყანაში, ეს იყო სახელმწიფოებრივი აზროვნება და ჩვენს ერში წინა პლანზე ყოველთვის იდგა ეროვნული ინტერესები და არა მერკანტილური, მით უფრო, რუსეთის მიერ ნაკარნახევი ინტერესი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „სიკეთე არ იწონება“, გასაგებია, რომ უკრაინისადმი გარკვეული ყურადღება არსებობდა, მაგრამ სიკეთეს საზომი არ გააჩნია და რაც უფრო მეტ მხარდაჭერას გამოუცხადებ იმ ერს, რომელიც ყოველთვის იდგა შენს გვერდით, იყო ეს აფხაზეთის ომი თუ შემდგომ, პირიქით, ღირსებას შეჰმატებს თბილისსაც და ამ ქვეყანასაც, თუმცა, ის, რომ 24 თებერვალს ჩვენი დელეგაცია უკრაინაში არ მიემგზავრება, სამწუხაროდ, ამის საწინააღმდეგოს გვეუბნება.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რომ ევროინტეგრაციაზე და ადამიანის უფლებებზე ილაპარაკებს, ეს დაახლოებით იგივეა, რომ უდაბნოში თოვლი მოვიდეს და მიმართა მის წარმომადგენლებს: „უბრალოდ, უდაბნოში შეიძლება ერთხელ მოთოვოს და თქვენი პარტია და ევროინტეგრაცია და ადამიანის უფლებები, ერთმანეთთან არის აბსოლუტურად არათავსებადი ორი მცნება“. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ყველაფერს ცდილობდა, რომ ძირი გამოეთხარა ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის და ევროინტეგრაციისთვის, მათ შორის, „ჩაბარებული ტერიტორიები, მიტოვებული ჩვენი გმირი სამხედროები, ასევე ევროპის საბჭოს რეზოლუციის სამარცხვინო მხარდაჭერა, გაყიდული და გასხვისებული სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტები, ადამიანის გათელილი უფლებები და ძალიან ვრცელი სია იმისა, რაც ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში“. მისი თქმით, დღეს, როგორც არასდროს, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ევროპული განვითარება არის შეუქცევადი და ძალიან სიმბოლურია, რომ ვართ ისტორიულ პროცესში - ევროკავშირისგან მივიღეთ პერსპექტივა და ველოდებით, რომ მივიღებთ კანდიდატის სტატუსსაც, რომელიც ჯერ კიდევ შარშან უნდა მოგვეღო, თუ მოხდებოდა კოპენჰაგენის კრიტერიუმების და ობიექტური რეფორმების შეფასება, რომელიც ევროკომისიამ, 3 თებერვალს გამოაქვეყნა უახლესი ანგარიშით. საუბრის ბოლოს, გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ რეფორმების პროცესი და ის გზა, რომელიც არჩეული აქვს ჩვენს ქვეყანას და ხელისუფლებას ევროინტეგრაციის გზაზე, არის შეუქცევადი და საქართველო აუცილებლად დაბრუნდება ისტორიულ ოჯახში და განაგრძობს მშვიდობიან, ევროპულ განვითარებას.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ საკრებულოში უნდა ვსაუბრობდეთ თბილისის პრობლემებზე, თუმცა, თბილისში კონცენტრირებულია ქვეყნის უდიდესი ნაწილი და ამიტომ ქვეყნის პრობლემები, ამ ქალაქის პრობლემებია, მათ შორის, უდიდესი პრობლემაა მიგრაცია და როდესაც ვსაუბრობთ გაზრდილ ბიუჯეტზე, უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, მასში თითქმის არაფერია ჩადებული ეკონომიკის მხარდაჭერისთვის და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ პროექტებს, რაც თავისთავად, ცუდი არ არის, თუმცა, მეტყველებს იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს ეკონომიკის განვითარებას ურჩევნია ადამიანები დამოკიდებული დარჩნენ სოციალურ პროგრამებზე. მისი თქმით, ფაქტია, რომ ჩვენი ქალაქიდან და ქვეყნიდან, ძალიან ბევრი ადამიანი მიდის და ესენი არიან ჩვენი საზოგადოების ყველაზე ძვირფასი ნაწილი - ახალგაზრდები, რომლებსაც მიღებული აქვთ კარგი განათლება, რაც ძალიან დიდი დანაკარგია ქვეყნისთვის და ეს ძალიან უნდა აწუხებდეს ხელისუფლებას. მისი თქმით, ეს ადამიანები მიგრაციაში მიდიან ეკონომიკური სიდუხჭირის და უიმედობის გამო, რომ ამ ქვეყანაში, ევროპა არის მხოლოდ მათთვის, ვისაც შეუძლია იქ სამოგზაუროდ წასვლა, ჩვენს ქვეყანაში არსებული კორუფცია პრობლემებს უქმნის განვითარებას და ა.შ. თუმცა, ამის პასუხად, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ისმის, რომ წინა მთავრობა ბევრად უარესი იყო, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიდგომით, რადგან წინა ხელისუფლება ცუდად იქცეოდა, ეხლა მათაც აქვთ უფლება, რომ ცუდად მოიქცნენ, ისინი პატიმრებს აწამებდნენ ციხეებში, ეხლა მათაც აქვთ უფლება გააგრძელონ იგივე და თუ სააკაშვილი იყო ცუდი, ახლა მათ აქვთ სრული უფლება, რომ ცუდად ექცეოდნენ მას, რისი დასტურიც არის მიმდინარე სხდომაზე

გაჟღერებული არგუმენტები. ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ ასეთი მიდგომა არის შუა საუკუნეების მენტალიტეტი, რომელიც ძალიან ახლოსაა ვენდეტასთან და არანაირი კავშირი არ აქვს ევროპულ ღირებულებებთან და მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „თქვენ გაქვთ აბსოლუტური უმრავლესობა და თქვენს ხელშია ფულის განკარგვა, უკვე ათ წელზე მეტია თქვენ ხართ მთავრობაში, რატომ არ აკეთებთ უკეთესად?“

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები საკრებულოს უმრავლესობის წევრების ჰუმანურობაზე ესაუბრებიან მაშინ, როდესაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში წერია, რომ „საქართველოს ციხეებში პატიმრების წამება ხდებოდა სისტემატურად“ და დღეს ვსაუბრობთ ადამიანზე, რომელმაც შექმნა ეს სისტემა, ხოლო თავად „წამოწოლილია პალატის ლოგინში“. კახაბერ ლაბუჩიძემ ისაუბრა ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამაზე, აღნიშნა, რომ თბილისის მერიამ, ბოლო წლებში, გააკეთა უამრავი საქმე, მათ შორის, იმ ოთხი წლის განმავლობაში, როდესაც თვითონ იყო ერთ-ერთი რაიონის გამგებელი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კუთხით იმდენი რამ გაკეთდა, რაც მანამდე არასდროს გაკეთებულა დედაქალაქში, თუმცა, დღევანდელი ხელისუფლება დადგა იმ უმძიმესი მემკვიდრეობის წინაშე, რაც ე.წ. „ხრუშჩოვკების“ სახით არის ქალაქში, რასაც უკვე არანაირი პროგრამა აღარ შველის და განაცხადა, რომ „ბოროტებაა“ იმ სიცრუის გავრცელება, რაც ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამასთან დაკავშირებით გაჟღერდა ტელეეთერებიდან.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა ავარიული სახლების ჩანაცვლების საკითხს და აღნიშნა, რომ მას უნდა მოვეკიდოთ დიდი სიფრთხილით, რადგან აღნიშნული არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტარდება უპრეცედენტო ხასიათის ღონისძიებები, უკვე შექმნილია პრაქტიკა, თუ როგორ უნდა დავძლიოთ ეს პრობლემები და ამასთანავე, მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, თუ როგორ უნდა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა თბილისის ისტორიულ უბნებში. ასევე, გამოეხმაურა კომპანია „GWP“-სთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ მხარს უჭერს რევაზ სოხაძის ინიციატივას, რომ საკრებულოს წევრები შეხვდნენ კომპანიის ახალ მფლობელებს და ისაუბრონ მათ ხედვებსა და გეგმებზე, თუ როგორ უნდა დავძლიოთ ამ მიმართულებით არსებული პრობლემები. ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა მიმდინარე სხდომაზე გაკეთებულ პოლიტიკურ განცხადებებზე და დააფიქსირა თავისი აზრი, რომ არ შეიძლება საკრებულოს წევრებმა ყველა სხდომაზე ისაუბრონ მიხეილ სააკაშვილზე, რომლის ქვეყანაში დაბრუნებას „კრიმინალური აქტი და დიდი შეცდომა უწოდა“. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ არც ერთმა წარმომადგენელმა არ აღიარა, რომ მიხეილ სააკაშვილის დაბრუნება ქვეყანაში ამ ფორმით იყო ძალიან დიდი შეცდომა, რამაც მოგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომელშიც დღეს ვართ. განაცხადა, რომ მიხელ სააკაშვილის პირობებზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრით, რომელიც თავად შეიქმნა, „ყველა ძალიან შეწუხდა“, მათ შორის, საზოგადოებაც, რაც აისახება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწყობილ გამოსვლებსა და აქციებზე მისული ადამიანების რაოდენობით, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ეს პროცესი არის სრულიად დევალვირებული. მისი თქმით, ბუნებრივია, რომ მიხეილ სააკაშვილს ჰყავს მხარდამჭერები ამ ქვეყანაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ამით ცხოვრობდნენ, „არ შეიძლება, რომ ქვეყანა მუდმივად ამყოფო ასეთ რთულ მდგომარეობაში და ევროპარლამენტის წევრებს აკეთებინებდე განცხადებას, რომ თუ სააკაშვილს არ გაუშვებთ, მაშინ თქვენ ევროპული პერსპექტივა არ გაქვთ და ვერ მიიღებთ კანდიდატის სტატუსს. ეს არის სამარცხვინო... უნდა დავასრულოთ ამაზე საუბარი, ადამიანმა უნდა მოიხადოს სასჯელი ჩადენილ დანაშაულზე“.

ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ არ გამოირჩევა პოლიტიკური განცხადებების გაკეთებით და უფრო მეტად აინტერესებს ქალაქში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე საუბარი, მათ შორის, აინტერესებს ის, რომ მეტროს მატარებელი ერთი გაჩერება დადის ვაგონის ღია კარით, მატულობს ქუჩის ძაღლების რაოდენობა და ქალაქი არ არის უსაფრთხო, ასევე, უხარია ის რაც კეთდება, მათ შორის, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია საკითხი, რომლის თანახმად, 300 ბავშვი ემატება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის

პროგრამას, რაც ნამდვილად მისასალმებელია. თუმცა, დღეს სურს გააკეთოს პოლიტიკური განცხადებაც და მათ შორის, მიმართოს კახაბერ ლაბუჩიძეს: „მუდმივად რაღაც ძველს რომ ვახსენებთ, იმ წლებში, როდესაც იყო „გაუპატიურება და ცემა-ტყეპა“, თქვენც ხომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ იყავით და ბატონი კახა კალაძეც ხომ მხარს უჭერდა? მეც მოხელე ვიყავი და თვითონ დავწერე განცხადება და წამოვედი, როდესაც მივხვდი, რომ ისე არ ხდებოდა, როგორც უნდა ყოფილიყო. მოდით, თავი დავანებოთ იმაზე საუბარს, ვინ სად იყო, დღევანდელი პრობლემა გვაქვს და ვისაუბროთ დღევანდელ დღეზე“. ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ მიუღებელია ის, რაც ბოლო სამი კვირაა ხდება მმართველ პარტიაში, კერძოდ, როგორც მთავრობის წევრების, ასევე, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების შეტევა ევროპარლამენტზე, რომელიც, მათი თქმით, იღებს „ჩალის ფასის“ გადაწყვეტილებებს, ალობირებს საქართველოს ომში ჩართვას და ალობირებს პარტიებს, რომლებსაც თურმე საქართველოსთვის ცუდი უნდა. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია 24 თებერვალს არ მიდის უკრაინაში და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, სხდომათა დარბაზში თავის მაგიდებზე ევროკავშირის და უკრაინის დროშების ნაცვლად დაიდონ უწგრეთის დროშა.

ავთანდილ ცინცაძე გამოეხმაურა საბა ბუაძის განცხადებას და მიმართა მას: „თქვენს გამოსვლაში ძალიან ბევრჯერ ახსენეთ სამარცხვინო. სამარცხვინო არა, მაგრამ სირცხვილი იცით რა არის? კახი კალაძეს რომ ესაუბრებით ევროპაზე, ევროპელებზე და ზოგადად, ევროპელ ხალხთან ურთიერთობაზე... აქ რომ ზის გოგა ონიანი და საუბრობს პატიმრებზე, პატიმრებთან ურთიერთობაზე და ზოგადად, აქ რომ ზის გოგა ონიანი... „ნაციონალური მოძრაობა“ რომ საუბრობს ჰუმანიზმზე, ჰუმანურად მოქცევაზე და ა.შ.“ მისი თქმით, გაუგებარია და სირცხვილია ის, რომ დანარჩენ ოპოზიციას, რომელიც ამ ყველაფერს უყურებს ამდენი ხნის განმავლობაში, არასდროს გასჩენია კითხვა იმაზე, რომ გოგა ონიანი საუბრობს პატიმრებზე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საუბრობენ ჰუმანიზმზე და მიმართა მათ: „პროტესტს რომ არ გამოხატავთ, გასაგებია, მაგრამ კითხვები მაინც არ გიჩნდებათ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ? აი, ეს არის სირცხვილი, როდესაც სირცხვილზე და სამარცხვინო საქციელზე ვსაუბრობთ“.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ ის რიტორიკა, რომლის აპელირებაც აქამდე ხდებოდა ხელისუფლების მმართველი ძალის მიერ, რიტორიკის ფორმით იყო ანტიდასავლური განცხადებები, თუმცა, დღეს უკვე მკაფიოა და ფორსირებული წესით ხდება დასავლური ვექტორის ჩრდილოეთით ცვლილება, რისი მომსწრეც არის საზოგადოება და დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების“ ბევრი წევრი სწორ ნაბიჯს გადადგამს და გაემიჯნება აღნიშნულს. მისი თქმით, სწორედ ამიტომ შეიქმნა „ქართულ ოცნებაში“ ე.წ. „განდგომილები“, რომელთა ხელითაც ხდება ამ ყველაფრის განხორციელება და კიდევ ერთხელ გამოთქვა იმედი, რომ მმართველი პარტიის ბევრი წარმომადგენელი არ აჰყვება ამ პროვოკაციას და არ დაუპირისპირდება არც საქართველოს ისტორიას და არც ქართველ ხალხს, რომლის არჩევანიც დასავლეთია. მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ ვერასდროს ხედავს ლოგიკას იმ გამონათქვამში, რომ ცხრა წლიან რეჟიმთან დაკავშირებით საუბრისას, თითქოს საკრებულოს წევრები იყვნენ პასუხსმგებლები იმ დანაშაულზე, რომელიც ჩაიდინა კონკრეტულმა პირმა, რომელმაც სასჯელიც კი მოიხადა ჩადენილი დანაშაულის გამო. აქედან გამომდინარე, გაუგებარი და მიუღებელია საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან საკითხის ამდაგვარი დაყენება და თანამშრომლობის ასეთი ფორმა და თუ ასეთი ფორმით გაგრძელდება საკრებულოს წევრებს ურთიერთობა, მომავალშიც არაფერი შეიცვლება და იქნება იგივე, რაც იყო ცხრა წლის წინ და რასაც ვხედავთ ბოლო წლებშიც - ქვის სროლის დონეზეა საზოგადოება ერთმანეთთან დაპირისპირებული. მიხეილ კაკაურიძის თქმით, საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან არ ხდება თანამშრომლობის რაიმე ფორმის დემონსტრირება, რადგან ოპოზიციის წარმომადგენლებს არ ეძლევათ მინიმალური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა საკრებულოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებში, მათ შორის, თბილისის ბიუჯეტის პროექტში წარდგენილი ჰქონდათ კომპეტენტური წინადადებები, რომლებიც იგნორირებული იყო და ამის შემდეგ, ფორმალური თანამშრომლობა და ნაბიჯების გადადგმა საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან, უბრალოდ არის „ბლეფი“. განაცხადა, რომ ემხრობა იმ

მიმართულებას, რომ საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლები ამ ინსტიტუტში არჩეული არიან საზოგადოების მიერ და ამიტომ, ყველა შემთხვევაში, ნებისმიერი მათი ქმედება მორგებული იქნება თბილისელების კეთილდღეობაზე და გააგრძელებენ იმ წინადადებების ინიცირებას, რომლებიც იქნება კონკრეტული სტანდარტები მომავალი დედაქალაქის მმართველობისთვის, რადგან საკრებულოს უმრავლესობა ამ მიმართულებით არ დგავს რეალურ ნაბიჯებს. მისი თქმით, არ შეიძლება, მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული ოპოზიცია, რომელიც დღეს საკრებულოშია, იყოს ასე იგნორირებული, უმრავლესობის წარმომადგენლებს არ ჰქონდეთ სურვილი, რომ შეეწინააღმდეგონ თბილისის მთავრობის მიერ შემოტანილ რომელიმე წინადადებას და იშვიათი გამონაკლისის გარდა, უმრავლესობის 100%-იანი მხარდაჭერით გადიოდეს ნებისმიერი საკითხი, რადგან ამ ყველაფრის ფონზე, ინსტიტუტი აზრს კარგავს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ როდესაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში და საკრებულოს უმრავლესობაში ერთი გუნდია, გასაკვირი არ უნდა იყოს თბილისის მთავრობის მიერ წარმოდგენილი საკითხებისთვის მხარდაჭერა, რადგან საკრებულოში მათი წარდგენა ხდება გუნდის წევრების ერთობლივი კონსულტაციების და მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად. რაც შეეხება ოპოზიციის ჩართულობას ამა თუ იმ პროცესში, გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამის პრობლემა არ არის, რისი დამადასტურებელი არაერთი კარგი მაგალითი არსებობს.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრების მხრიდან ოპოზიციასთან საქმიანი თანამშრომლობის მზაობა ყოველთვის არის. როდესაც საუბარია იმაზე, რომ თბილისის ბიუჯეტთან დაკავშირებით, მათ ჰქონდათ გარკვეული ინიციატივები, უნდა ითქვას, რომ ისეთი ინიციატივები, რომლებიც ემთხვევა საკრებულოს უმრავლესობის ინიციატივებს, რა თქმა უნდა, ვერ გაჟღერდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივად და ბიუჯეტში ამ ფორმით მისი ასახვა ვერ მოხდება, ხოლო რაც შეეხება განსხვავებულ ინიციატივებს, ასეთი იყო უფასო სასადილოებთან დაკავშირებული საკითხი, რაზეც სისტემატურად მიმდინარეობს მუშაობა და მომდევნო წლებში აუცილებლად იქნება გაუმჯობესებული დღეს არსებული პროგრამები. აქვე აღნიშნა, რომ ოპოზიციის ერთ-ერთი ინიციატივა იყო ასევე, დამატებითი რეკრეაციული სივრცეების მოწყობა და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია თბილისის ბიუჯეტის 142000000 ლარით გაზრდა, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დედაქალაქში მოეწყოს დამატებითი რეკრეაციული სივრცეები, მათ შორის, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით თანხა გათვალისწინებულია თემქის ხევის საქალაქო პარკის მშენებლობისთვის და სხვადასხვა ლოკაციებზე რეკრეაციული სივრცეების მოწყობისთვის. მისი თქმით, წარმოდგენილი ნამატი თანხა ასევე, გათვალისწინებულია მოსახლეობის სხვადასხვა საჭიროებებისთვის, მათ შორის, არაცენტრალურ უბნებში ნაგავშემკრები კონტეინერების შესაძენად და მეტროს მოძრავი შემადგენლობის რესტავრაცია-რეაბილიტაციისთვის. ირაკლი ხელაძის თქმით, ზოგადად, ბიუჯეტის ზრდამ მიიღო სისტემატური ხასიათი, რისი პრეცედენტი ადრე არ არსებობდა და 2017 წელთან შედარებით, თბილისის ბიუჯეტი გაორმაგებულია, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს ქალაქის მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროექტები და ეს არის ის ძირითადი საკითხები, რაზეც უფრო მეტად უნდა საუბრობდნენ და თანამშრომლობდნენ საკრებულოს წევრები, თუმცა, არ ახსენდება, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს, ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან მთავარ საკითხად წამოწეული ყოფილიყოს მსგავსი თემები და მაშინაც საუბრობდნენ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საუბრის ბოლოს, ირაკლი ხელაძე გამოეხმაურა ნინო კვიტაიშვილის მიერ ჰუმანურობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, აღნიშნა, რომ მას მჭიდრო შეხება ჰქონდა პენიტენციურ სისტემასთან და თავადაც კარგად იცის, რომ ისეთი სისტემური პრობლემები, რაც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ჰქონდა, „ქართულ ოცნებას" არ აქვს და არასდროს ექნება და მისი მხრიდან ამაზე საუბარი მხოლოდ და მხოლოდ პარტიული დღის წესრიგია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით მაქაცარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

5. „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ინიციატივის ფარგლებში ახალი შეთანხმების ხელმოწერაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

6. „ქალაქ თბილისში, ქებურიას დასახლებაში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.019.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.139.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონის კორპუს N33-ში მდებარე 143.46 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.514) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩა, ჩიხი II, N6-ში მდებარე 73.96 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.017.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, გრაფ შულენბურგის ქუჩა N3ა-ში მდებარე 262 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.287) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 166 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.13.399.005) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ. N01.19.39.009.070), კორპუსი N34, (ს/კ. N01.19.39.009.007), კორპუსი N35 (ს/კ. N01.19.39.009.034) და კორპუსი N37-თან (ს/კ. N01.19.39.009.092) (შემდგომში - წითელი აგურების კორპუსი) დაკავშირებით, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქაალქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონული გამგეობის მიერ სხვადასხვა წლებში გამოცემული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების მქონე პირებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-7 კვარტლის კორპუსი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.024.009.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034.01.044) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N4გ-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.013.01.634 და N01.12.07.005.013.01.629) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.03.036ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.156.002) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის II ჩიხი, N10-ის მიმდებარედ არსებული 9231 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „CBD Development“-ისთვის (ს/ნ:404382921) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ. 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „გრანდ თაუერის“ (ს/ნ. 405269891) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“ (ს/ნ. 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ. N01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ. 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ჰორვატსის“ (ს/ნ. 405349154) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.007.041) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.160; N72.16.23.161; N72.16.23.162; N72.16.23.163; N72.16.23.164; N72.16.23.165; N72.16.23.334; N72.16.23.742) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N417 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N71(ნაკვ.5/6), N71ა, მატროსოვის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.12.005.025; N01.17.12.005.008; N01.17.12.005.026; N01.17.12.005.024; N01.17.12.005.001; N 01.17.12.005.006; N01.17.12.005.011) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N351 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.08.010.019; N01.14.08.010.021; N01.14.08.010.041; N01.14.08.010.020; N01.14.08.010.043; N01.14.08.011.048; N01.14.08.011.054; N01.14.08.011.058) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის, დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.572; N81.02.13.762; N81.02.19.158; N81.02.13.835; N81.02.13.551; N81.02.19.722; N81.02.19.135; N81.02.19.571; N81.02.96.930; N81.02.97.489; N81.02.96.605; N81.02.95.072; N81.02.19.569; N81.02.19.157) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N81.08.31.491) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი და სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N81.02.02.989; N81.02.99.731; N81.02.02.351; N81.02.02.987; N81.02.02.988; N81.02.02.919; N81.02.02.918; N01.81.10.291.001; N01.81.10.291.003) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და ფიზიკური პირის ირაკლი ნიკოლაიშვილის (პ/ნ. 01030011710) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

38. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „სოლუმ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405148086) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

39. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „კარკასის" (ს/კ. 430029015) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

40. „მისამართზე - ქ.თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ.N18-ში (ს/კ. N01.10.18.006.221 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში - ი.ბ.ა ,,ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205394633) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

41. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და იბა „ც.დადიანი 2012"-ის (ს/ნ. 202466848) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

42. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „აა2"-ის (ს/ნ. 405141537) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2022 წლის 6 თვის (01.07.2022-31.12.2022) მუშაობის ანგარიში";

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

44. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს ანგარიში 2022-2023წწ.";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

45. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

46. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

47. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ჩიხისთვის კინომსახიობის გოჩა აბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

48. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით სულიაშვილის ქუჩისთვის მსახიობის გურამ საღარაძის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

49. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევისთვის ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

50. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, არბოშიკის ქუჩისთვის რეჟისორის გურამ მელივას სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

51. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

52. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა გვანცელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

53. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ექიმ-უროლოგის, აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

54. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფაბრიკის შესახვევისთვის არქიტექტორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

55. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები სიმენსების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

56. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხისთვის სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

57. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩისთვის და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

58. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, გიორგი და ზვიად უგრეხელიძეების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

59. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დემნა შენგელაიას ქუჩისთვის აფხაზეთის ომში მებრძოლის თორნიკე ქურდაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

60. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ქედის შესახვევისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის მწერლის დემნა შენგელაიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

61. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზაალ დუმბაძის ქუჩისთვის გერგეტის შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

62. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, შუამთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოლკოვნიკის ზაალ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

63. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხისთვის ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

64. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის და შესახვევებისთვის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

65. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

66. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს I შესახვევისთვის და უწერის II შესახვევისთვის ლიბანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

67. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის მონასტრის III შესახვევის გაგრძელების შესახებ“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით მაქაცარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ დავით მაქაცარია არის საკმაოდ გამოცდილი კადრი, რომელსაც, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე, კერძო სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, იმედი გამოთქვა, რომ მისი საქმიანობა ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე იქნება წარმატებული და განაცხადა, რომ მას საკრებულოს უმრავლესობის მხარდაჭერა ექნება არა მხოლოდ დღეს, არამედ მომავალშიც, მისი საქმიანობის პერიოდში.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილია ძალიან კარგი კანდიდატურა, რადგან დავით მაქაცარია არის ჩუღურეთის რაიონის მაცხოვრებელი, რომელსაც საჯარო სამსახურში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, კერძოდ, მუშაობდა საგადასახადო სისტემაში, გაწევრიანებული იყო მსხვილ გადამხდელთა კავშირში და ძალიან კარგად ერკვევა იმ პრობლემატიკაში, რომლებიც არის ჩუღურეთის რაიონში, მათ შორის, ეს იქნება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, სოციალური დონე და სხვა.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ დავით მაქაცარია 2010 წლამდე მუშაობდა საჯარო სექტორში, ხოლო ამის შემდეგ, 12 წელია მუშაობს კერძო სექტორში, კერძოდ, მისი შპს ოპერირებს კვების ბიზნესში და დაინტერესდა, ზოგადად, როგორ ხდება გამგებლის თანამდებობაზე კანდიდატების გენერირება, რა სახის ინტერაქცია აქვს მას მუნიციპალიტეტთან და რამ განაპირობა, რომ დღეს მისი კანდიდატურა წარმოდგენილი ყოფილიყო ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ დავით მაქაცარია საგადასახადო სისტემაში მუშაობდა წინა ხელისუფლების დროს და მიმართა მას: „იქნებ გვითხრათ თქვენი შეფასება, წინა ხელისუფლების დროს, საგადასახდო სისტემა როგორი იყო - რეპრესიული იყო? ბიზნესის დატერორება მიდიოდა? თქვენ რა ნახეთ ამ წლებში და თქვენი პოზიცია გვითხრათ ამასთან დაკავშირებით".

ვლადიმერ ჭიღლაძე გამოეხმაურა ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც, მისი თქმით, „გავდა პოლიტიკურ შეკითხვებს" და განაცხადა, რომ „გამგებელი არ არის პოლიტიკური თანამდებობის პირი და არ არის ვალდებული პასუხი გასცეს პოლიტიკურ შეკითხვებს". ისაუბრა თუ როგორ ხდება ამა თუ იმ კანდიდატის შერჩევა გამგებლის თანამდებობაზე და აღნიშნა, რომ თბილისის მერი, მთავრობის წევრებთან ერთად, რამდენიმე კანდიდატიდან აწარმოებს ერთის შერჩევას, იღებს გადაწყვეტილებას და წარუდგენს საკრებულოს. გამგებელი არ არის ის თანამდებობა, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული წესით შერჩევა სჭირდება, ის ირჩევა საჯარო მოსამსახურის შერჩევის წესით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ დავით მაქაცარიას პირდაპირი კვეთა მერიის სამსახურებთან არ ჰქონია და შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, მისი შერჩევისას, შესაძლებელია ყოფილიყო ძალიან ბევრი სიტუაციური კონტექსტი, თუნდაც რეკომენდაცია ან მისი საქმიანობის თუ უბნის ცოდნა. მისი თქმით, არიან ადამიანები, რომლებიც გარკვეულ სამუშაოს ეწევიან იმისთვის, რომ სახელმწიფო სექტორში მოზიდული იქნას კარგი კადრი, რაც პრობლემაა, რადგან დღეს, მარტივი არ არის, ადამიანი ბიზნესიდან მოიწვიო და დაითანხმო, რომ ძალიან რთულ სამსახურში მუშაობაზე მიიღოს გადაწყვეტილება. დავით მაქაცარია არის ჩუღურეთის რაიონის მაცხოვრებელი და რამდენიმე ადამიანმა, მათ შორის, საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა, მისი გამოცდილებიდან და საქმიანი უნარებიდან გამომდინარე, გაუწიეს მას რეკომენდაცია და გარკვეული პროცედურების შემდეგ, მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ მისი კითხვა არ არის პოლიტიკური, რადგან იმისთვის, რომ კანდიდატი შეაფასოს, მათ შორის, შეაფასოს მისი კეთილსინდისიერება, აინტერესებს, წინა წლებში თუ მას ჰქონდა დანაშაულთან შეხება და თუ იყო დანაშაულის მომსწრე, მნიშვნელოვანია, რა გააკეთა ამასთან დაკავშირებით, რადგან ეს არის შეფასების კრიტერიუმი. აქვე აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია ის, რომ წარმოდგენილი კანდიდატი არის ახალი კადრი, რომელიც ჯერ უნდა გაეცნოს გამგეობის სპეციფიკას და საკრებულოს წევრებს შემდეგ ექნებათ საშუალება, ისაუბრონ უფრო დეტალურად.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ უკვირს, რატომ პასუხობენ დასმულ კითხვებს სხვა ადამიანები და არა თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი, რაც მისი თქმით, პირველი შემთხვევა არ არის. აღნიშნა, რომ თუ კონკრეტული კითხვა პოლიტიკურია და ამიტომ მას პასუხს არ გასცემს, უნდა გვითხრას თვითონ იმ ადამიანმა, ვისაც ეკუთვნის კითხვა და განაცხადა „როგორ უნდა ვანდოთ ადამიანს რაღაც, როდესაც საკუთარ სათქმელს თვითონ არ საუბრობს და სხვები საუბრობენ".

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ დავით მაქაცარიას მხრიდან კითხვებზე პასუხების გაცემა პრობლემა არ არის, რისი დასტურიც არის კომისიურ ფორმატში მისი კანდიდატურის განხილვის პროცესი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მიმდინარე სხდომაზე მის მიმართ დასმული კითხვები ნამდვილად იყო პოლიტიკური შინაარსის. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეს წარმოდგენილი კანდიდატი წლების განმავლობაში მუშაობდა ბიზნეს-სექტორში და მას შემდეგ, რაც ის კიდევ უფრო კარგად გაერკვევა სპეციფიკაში, აუცილებლად გვექნება შესაძლებლობა ვისაუბროთ კონკრეტულ გეგმებზე და მის შეხედულებებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 6

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთის ასახვა, რომელიც შეადგენს 137794000 ლარს და არაფინანსური აქტივების ზრდა 5000000 ლარით, რის შედეგადაც 2023 წლის თბილისის ბიუჯეტის მოცულობა იქნება 1774926000 ლარი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მისი შეფასებით, სხვადასხვა მუხლებში ჩარჩენილი 30000000 ლარი, რომელიც გადმოდის წინა წლის ბიუჯეტიდან, არის აუთვისებელი თანხა და დაინტერესდა, გვაქვს თუ არა იმის მაჩვენებელი, თუ რა არის ამ თანხების საშუალო მოცულობა და ხომ არ არის ეს იმის ინდიკატორი, რომ ბიუჯეტს სჭირდება ცოტა უფრო უკეთესი და უფრო დეტალური დაგეგმვა, რადგან, მისი თქმით, 30000000 ლარი არ არის მცირე თანხა დედაქალაქისთვის.

ოთარ გრიგოლიამ განმარტა, რომ წინა წლის ბიუჯეტი იყო დაახლოებით 1.5 მილიარდი ლარი და ამ ვითარებაში, ნაშთის სახით 70-80 მილიონი ლარის არსებობა არის აბსოლუტურად ნორმალური და ბუნებრივი, რადგან ეს არ უკავშირდება ვერათვისებას, ამის მიზეზი არის ის, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში არსებული ეკონომიები, გარკვეულ ეტაპზე, რჩება ისე, რომ აღარ გვაქვს მისი დახარჯვის შესაძლებლობა.

გიორგი ჩაკვეტაძემ თხოვნით მიმართა გაიოზ თალაკვაძეს, რომ ბიუჯეტში მომდევნო ცვლილებების წარმოდგენისას, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნას ის, რომ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისას განისაზღვროს ე.წ. „ჭერი“, რომლის ქვევითაც არ მოხდება ღონისძიებების დაგეგმვა, რადგან ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებას დღეს გაცილებით მეტი თანხა სჭირდება, ვიდრე სჭირდებოდა თუნდაც 7 წლის წინ და რაიონულ გამგეობებში არსებული შესაბამისი განყოფილებები, ხშირ შემთხვევაში, მოკლებული არიან შესაძლებლობას, რომ წლის განმავლობაში დაგეგმონ საჭირო ღონისძიებები.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა გაიოზ თალაკვაძეს, რომ რაიონული გამგეობების ბიუჯეტის გადანაწილებისას, ნაძალადევის რაიონში „არასამართლიანად“ მოხდა თანხის გადანაწილება და ითხოვა აღნიშნულის გამოსწორება ბიუჯეტში მომდევნო ცვლილებების წარმოდგენისას.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ გარდამავალი ნაშთიდან 30000000 ლარზე ცოტა მეტი არის შემოსავლების გადაჭარბებით მიღებული შემოსავალი, რაც თავისთავად ვერ დაიხარჯებოდა წინა წელს; 72000000 ლარი არის მრავალწლიანი პროექტებისთვის განკუთვნილი თანხა და დაახლოებით 28000000-29000000 ლარამდე გამოდის სხვადასხვა ეკონომიებიდან, რომელიც შედგება სხვადასხვა პროექტების და მუხლების მცირე ეკონომიებით, რომლის გამოყენებაც მოხდება მიმდინარე წელს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში მომლოდინე ბავშვების დამატება, რის შედეგადაც ბენეფიციართა რაოდენობა 1550-დან იზრდება 1850-მდე და მომდევნო თვიდან დაფინანსებას მიიღებს 300 ბავშვით მეტი.

ზურაბ ჩიკვილაძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო წარმოდგენილი ცვლილების განხორციელების პროცესში, მათ შორის, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თითოეულ წევრს და აღნიშნა, რომ საჭიროების მქონე ყველა ბავშვი სრულად უზრუნველყოფილი იქნება ამ პროგრამით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების განხორციელება ნამდვილად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო პროექტის შემუშავების პროცესში და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ მიზანს და ამოცანებს წარმოადგენს საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების, აქტივობების და ზოგადად არტისტების ხელშეწყობა. ეს იქნება ორგანიზაცია, რომელიც გამოაცხადებს სხვადასხვა ტიპის კონკურსებს, ხელს შეუწყობს არტისტების რეალიზებას და იმუშავებს როგორც მუნიციპალური, ასევე, კერძო სექტორიდან და ფონდებიდან სხვადასხვა რესურსების მობილიზებაზე.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, როდესაც ბიუჯეტი ფულს ხარჯავს, მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანი იყოს მკაფიოდ გაჭირვებული და თანხის რედისტრიბუცია ამიტომ ხდებოდეს, ხოლო სხვა მხრივ ბიუჯეტიდან ფული არ უნდა იხარჯებოდეს, არ აქვს მნიშვნელობა ადამიანი იქნება არტისტი, მუსიკოსი თუ სხვა ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი. გარდა ამისა, არსებობს კულტურის სამინისტრო, რომელიც ამ მიმართულებით იხდის ფულს, შესაბამისად, ფიქრობს, რომ აღნიშნული არ არის საკრებულოს მოვალეობა და განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭერს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ნათია მოდებაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს უჭერს, თუმცა ვერ მოასწრო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება და ითხოვა, რომ მისი ხმა გათვალისწინებული იქნას კენჭისყრის შედეგებში.

5. „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ინიციატივის ფარგლებში ახალი შეთანხმების ხელმოწერაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი შეთანხმება არის ევროკავშირის პროგრამა, რომელზეც მიერთებულებული არიან საქართველოს ქალაქების და ევროპის ძალიან ბევრი დედაქალაქის და ქალაქის მერები. მისი მიზანია მუნიციპალიტეტში დაინერგოს კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის და ასევე, ენერგოეფექტურობის მიმართულებით პროგრამები, რომლებიც გულისხმობს მწვანე მშენებლობების განვითარებას, მწვანე გადაწყვეტილებების მიღებას, ამ მიმართულებით მოსახლეობის ჩართულობის ზრდას, მუნიციპალიტეტის როლის ზრდას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების დროს, მათ შორის, ცენტრალურ დონეზე და მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამას, როგორც ფინანსურად, ასევე, ინსტიტუციურად, ხელს უწყობს ევროკავშირი.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი ძალიან კარგი და მისასალმებელია, თუმცა, საინტერესოა, 2015 წლიდან დღემდე რატომ არ მოხდა ამ შეთანხმებაზე ხელმოწერა. აღნიშნა, რომ შეთანხმება უნდა შესრულდეს 2030 წლამდე და იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო მას შეუერთდა რვა წლის შემდეგ, საინტერესოა, რა არის დაგეგმილი დარჩენილ 7 წელიწადში.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა, რომელიც აერთიანებს ევროპის ქალაქების მერებს, წარმოადგენს ინიციატივას, რომელსაც მხარს უჭერს ევროკავშირი და გულისხმობს შემდეგს: ქალაქებმა, ერთმანეთთან თანამშრომლობით თუ ინდივიდუალურად უნდა შეიმუშაონ ისეთი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებების ზეგავლენას გარემოზე და ასევე, ხელს შეუწყობს ენერგოეფექტური, თუნდაც მშენებლობების განვითარებას ან ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული ბიზნესის განვითარებას. ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი, საქართველოში არსებულ სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ყველაზე წინ არის იმ ვალდებულებების ნაწილში, რომლებიც, მათ შორის, მუნიციპალურ დონეზე, აღებული გვაქვს ასოცირების შეთანხმებით. ამაში რა თქმა უნდა, იგულისხმება არა ის, რომ თბილისში ჰაერი იდეალურად არის, არამედ ის, რომ თბილისის მუნიციპალიტეტმა მიიღო ისეთი სტრატეგიის დოკუმენტები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობს ერთი მხრივ, კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის შემცირებას და მეორე მხრივ, ენერგოეფექტურობის და ენერგეტიკის განვითარებას ქალაქის დონეზე. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მუშაობა დაიწყება შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ და დაიგეგმება კონკრეტული აქტივობები, თუმცა იმ ვალდებულებების ძალიან დიდი ნაწილი, რომლებიც უნდა შესრულდეს ამ შეთანხმების ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტს უკვე შესრულებული აქვს, მათ შორის, წინა წლის დეკემბერში, ამ თემასთან დაკავშირებით გვქონდა დეტალური ანგარიში ბრიუსელში ევროკომისიის წარმომადგენლებთან ერთად, სადაც თბილისს შესრულებული ჰქონდა ყველაზე მეტი ვალდებულება, იმის მიუხედავად რომ ამ შეთანხმებას პირდაპირ არ იყო მიერთებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერა მისასალმებელია, რადგან ეს მოგვცემს საშუალებას, ევროკავშირის დაფინანსებით განვახორციელოთ სხვადასხვა პროექტები, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ეკოლოგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისში, ქებურიას დასახლებაში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 733 კვ.მ. ფართის გადაცემა ცამეტი ოჯახისთვის, რომლებიც 2005-09 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.019.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 46 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1984 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.139.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 27 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონის კორპუს N33-ში მდებარე 143.46 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.514) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 143 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1984 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩა, ჩიხი II, N6-ში მდებარე 73.96 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.017.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 73 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, გრაფ შულენბურგის ქუჩა N3ა-ში მდებარე 262 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.287) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ხსენებულ ტერიტორიაზე არსებული ტაძრის ეზოს და მწვანე საფარის მოწყობის მიზნით.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ 1990-იან წლებში, იყო ეთნონაციონალიზმით გაჟღენთილი პოლიტიკური ელიტა, ხოლო კონკორდატი - შუამავლური გამოსავალი, თუმცა ფიქრობს, რომ დღეს განვვითარდით და იმედი გამოთქვა, რომ მოვესწრებით ქვეყანას, სადაც არ გვექნება კონკორდატი და რაღაცებს არ ვაჩუქებთ ხალხს. აქვე განაცხადა, რომ სურს „დამთავრდეს ვაჭრობის პრაქტიკა", რაც მისი თქმით, რთულია და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებს: „მინდა მოვესწრო ასეთ ქვეყანას და ამის მონაწილეები თქვენც თუ იქნებით და თუ დავეხმარებით ერთმანეთს, რომ ეს შევძლოთ, კარგი იქნება".

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 166 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.13.399.005) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/წ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება მცირე ზომის ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ. N01.19.39.009.070), კორპუსი N34, (ს/კ. N01.19.39.009.007), კორპუსი N35 (ს/კ. N01.19.39.009.034) და კორპუსი N37-თან (ს/კ. N01.19.39.009.092) (შემდგომში - წითელი აგურების კორპუსი) დაკავშირებით, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქაალქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონული გამგეობის მიერ სხვადასხვა წლებში გამოცემული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების მქონე პირებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება ე.წ. „წითელი აგურების კორპუსს“, რომელიც მდებარეობს ვარკეთილი 3-ში. მიუხედავად იმისა, რომ აღმასკომის მიერ გაცემული იყო უფლების დამდგენი დოკუმენტები, ადამიანებმა ვერ შეძლეს კუთვნილ ფართებში შესვლა, რადგან მშენებლობა იყო დაუმთავრებელი და ამ კორპუსებში არსებული ფართები თვითნებურად დაიკავეს სხვა პირებმა. პრობლემის გადაჭრის მიზნით, მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა წესი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი იმ ადამიანებს, რომლებზეც გაცემულია უფლების დამდგენი დოკუმენტები, შესთავაზებს იმ ბინებს, რომლებიც მიღებული აქვს ნამატი კ2 კოეფიციენტის ფარგლებში, რის შემდეგაც თვითნებურად შეჭრილებს ეტაპობრივად დაუკანონებს იმ ფართებს, რომლებშიც ცხოვრობენ. აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე შეთანხმება მიღწეულია თერთმეტ ოჯახთან, რომლებსაც გადაეცათ ბინები და ამის შემდეგ თერთმეტი თვითნებურად შეჭრილისთვის მოხდება ფართების დაკანონება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყარე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მომრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საქართველოს საპატრიარქოს გადაეცემა მეორადი და დემონტირებული ფილები, კერძოდ: 24$მ^3$ გრანიტი, 534 ცალი ტრავენტინი და 100$მ^2$ ბაზალტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 43 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-7 კვარტლის კორპუსი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.024.009.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 29 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034.01.044) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 80 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2001 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N4გ-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.013.01.634 და N01.12.07.005.013.01.629) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.03.036ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 79 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.156.002) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ვაკის პარკის თავზე არსებული ტერიტორიის, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით არის ტყე, მონაცვლეობის პროექტი. ერთდროულად ხდება სამი მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, რომელთაგან თითოეულის ფართია 410 კვ.მ. და რომლებზეც ძველი გენ.გეგმით ვრცელდებოდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, ხოლო ახალი გენ.გეგმით ვრცელდება სატყეო ზონა. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ვაკის პარკის ნაწილს, მუნიციპალიტეტმა საჭიროდ მიიჩნია მისი მონაცვლება. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთის შეფასება განხორციელდა, როგორც ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა და შესაბამისად, თითოეული მათგანი შეფასდა დაახლოებით 60000 ლარად, ხოლო ჯამში სამივე მიწის ნაკვეთის ღირებულებამ შეადგინა 180810 ლარი. აღნიშნული მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ, კერძო მესაკუთრეს გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კოჯორში მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულებაა 190000 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის II ჩიხი, N10-ის მიმდებარედ არსებული 9231 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „CBD Development“-ისთვის (ს/ნ:404382921) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ შპს „CBD Development“-მა მუნიციპალიტეტს მიმართა ორხევის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად გადაცემის თხოვნით. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა არის 15 წელი, ხოლო მიზნობრიობა - უპატრონო ძაღლების თავშესაფრის კომპლექსის მშენებლობა. გარდა ამისა, მინიმალური ვალდებულებაა: ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, 150 ძაღლზე გათვლილი ვოლიერის აშენება, საოპერაციოს მოწყობა, საკარანტინე სივრცის და სხვადასხვა დამხმარე შენობების მშენებლობა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კომპანია ვალდებულია განახორციელოს მინიმუმ 1.5 მილიონი ლარის ინვესტიცია 2 წლის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ. 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ.

